ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2353206

ნომერი: AR1363771

თარიღი : 15.12.2015

გაცემის თარიღი : 21.12.2015

გაცნობის თარიღი : 21.12.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

რაიონი ყაზბეგი , სოფელი ქუმლისციხე ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მიხეილ ბეგიაშვილი პ/ნ 01024023623
- თბილისი, სერგი დანელიას 1

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექურის სამსახურის 15.04.2015 წ. №1828935 ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 15/12/2015 წ. #

AR1363771 განცხადებით მომართა მიხეილ ბეგიაშვილმა და მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 15.04.2015 წ. №1828935 ბრძანებაში ხარვეზის გასწორება მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 15.04.2015 წ. №1828935 ბრძანებით დაკმაყოფილდა მოქალაქე მიხეილ ბეგიაშვილის განცხადება და ლეგალიზებულად ჩაითვალა ყაზბეგის რაიონი,გუდაური, სოფელი ქუმლისციხე (ს.კ. N74.06.12.041) პროექტის დარღვევით აშენებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი.
განმცხადებელი უთითებს, რომ 15.04.2015 წ. №1828935 ბრძანებაში არასწორად დაფიქსირდა ცალკეული ფართების მაჩვენებლები, კერძოდ, საერთო ფართობი 1911.6 კვ.მ.–ს ნაცვლად შეადგენს 1991.60 კვ.მ.–ს, დამხმარე ფართობი 318.9 კვ.მ.–ს ნაცვლად შეადგენს 415.40 კვ.მ.–ს, ხოლო კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართობი 344.0 კვ.მ.–ს ნაცვლად შეადგენს 327.50. კვ.მ.–ს. აღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებელი ითხოვს 15.04.2015 წ. №1828935 ბრძანებაში დაშვებული ხარვეზის გასწორებას.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდესის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან, ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლებში დაშვებულ იქნა შეცდომა, რაც შესაბამისად აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია გაასწოროს ზემოაღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში დაშვებული ტექნიკური შეცდომა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 15.04.2015 წ. №1828935 ბრძანებაში და საერთო ფართობად დაფიქსირდეს 1991.60 კვ.მ, დამხმარე ფართობად – 415.40 კვ.მ., ხოლო კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართობად – 327.50 კვ.მ.
2. სამსახურის 15.04.2015 წ. №1828935 ბრძანებაში მითითებული დანარჩენი ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლები დარჩეს უცვლელი;
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 15.04.2015 წ. №1828935 ბრძანებასთან ერთად;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას N7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან 1 თვის ვადაში.